დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

27.28. 5. 2025

2025 წლის 04 აგისტო

თბილისი

შინაარსი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა 7

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 33

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 43

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 49

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 64

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რევაზ ბახტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე - 7 დონე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე - 6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I - IV კლასები) ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლებით და შემდეგიდან ერთ - ერთი: ● სპეციალურ მასწავლებლად მუშაობის უფლება; ● დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება; ● დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) მათემატიკის სწავლების უფლება ; ● დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლება ; ● დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) ჩვენი საქართველოს სწავლების უფლება;	-

	• დაწყებით საფეხურზე (I - VI კლასები) მუსიკის სწავლების უფლება.	
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით	-
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I - IV კლასები) ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლებით და შემდეგიდან ერთ - ერთი: • სპეციალურ მასწავლებლად მუშაობის უფლება; • დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება; • დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) მათემატიკის სწავლების უფლება ; • დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლება ; • დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) ჩვენი საქართველოს სწავლების უფლება; • დაწყებით საფეხურზე (I - VI კლასები) მუსიკის სწავლების უფლება;	ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთ - ერთი საგნის სწავლების უფლება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე: • ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხურები); • მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხურები); • ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები); • ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხურები); • ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხურები); • საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (დაწყებითი საფეხური); • ფიზიკური აღზრდა და სპორტი (საბაზო და საშუალო საფეხურები); • ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები).
სწავლების ენა	ქართული	ქართული

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

ECTS კრედიტების რაოდენობა	300	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N1 408009, 2022 წლის 21 ოქტომბერი, გადაწყვეტილება N 1425406	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N1 408009, 2022 წლის 21 ოქტომბერი, გადაწყვეტილება N 1425408

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტში ხორციელდება 2021 წლიდან, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2015 წლიდან. კლასტერში დაჯგუფებულ ორივე პროგრამას ბოლო აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წელს. პროგრამებს აკრედიტაციის ვადა ეწურებათ მიმდინარე წლის 1 ივლისს.

ორივე პროგრამა ანიჭებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს. პროგრამები მოიცავს პედაგოგიურ - ფსიქოლოგიურ მოდულს, პედაგოგიურ პრაქტიკას და საგნობრივი მეთოდოლოგიის მოდულებს (დაწყებით საფეხურზე, ან დაწყებით და საშუალო საფეხურებზე).

პროგრამებში თანდათან მცირდება სტუდენტების რაოდენობა. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ინტეგრირებულ პროგრამაზე (300 კრედიტი) სწავლობს 58 სტუდენტი, ხოლო სერტიფიცირებულ პროგრამაზე (60 კრედიტი) - 28 სტუდენტი.

ორივე პროგრამის სწავლების ენა არის ქართული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში და თანდართული მასალები. მოგვიანებით ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნა დროულად. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27-28 მაისს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ ყველა დაინტერესებულ მხარეს, როგორც უნივერსიტეტის მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის მართვის სისტემა და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულწრფელი მადლობა გადაუხადოს პროცესის ყველა მონაწილეს თანამშრომლობისთვის და ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებებში მონაწილეობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები შესაბამისობაშია მე- 3 და მე - 4 სტანდარტის მოთხოვნებთან და მეტწილად შესაბამისობაშია პირველი, მე- 2, და მე -5 სტანდარტის მოთხოვნებთან.

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **რეკომენდაციები**

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაერთიანდეს პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგი პროგრამის მთავარ სწავლის შედეგებზე ორიენტაციით, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევის ეფექტურ გაზომვას.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა ითვალისწინებდეს სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდს და პროგრამის სწავლის შედეგებთან ინდივიდუალური სასწავლო კურსების დონის შესაბამისობას.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები და აღნიშნული ანგარიშები გაზიარებულ იქნას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის შეიმუშაოს მკაფიო სახელმძღვანელო სწავლასა და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, გააძლიერებს აკადემიური პერსონალის კვლევით შედეგებს და გააღრმავებს საერთაშორისო თანამშრომლობას.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გაუმჯობესებას, მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების წახალისებით და კონკურენტუნარიან კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობით.

- რეკომენდებულია, განახლდეს ბიბლიოთეკა უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსების, წიგნების და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების დამატებით.

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შენობის ინფრასტრუქტურა.

- რეკომენდებულია, განხორციელდეს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრული და ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა, პროგრამულ დონეზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაში და განხორციელებაში.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს უკუკავშირის მიღებისა და გამოკითხვების განხორციელების პრაქტიკები, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის)

თანმიმდევრული და არსებითი ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში.

პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

● რეკომენდებულია, ინგლისური ენის კურსები გადანაწილდეს ორ ან მეტ სემესტრზე და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად სწავლება დაიწყოს ცოდნის შესაბამის დონეზე.

● რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი, გაზრდილი კრედიტების რაოდენობით, შეთავაზებული იყოს ბოლო სემესტრში ერთიანი კვლევითი კომპონენტის სახით.

● რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის და სწავლების მეთოდიკის კურსები გაზრდილი კრედიტების რაოდენობით.

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

● რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და დაკორექტირდეს საგნების / მოდულების კრედიტების განაწილება.

● რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი.

● რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებული საგნების სემესტრული განაწილება, მკაფიოდ გამოკვეთოს მათი ლოგიკური თანმიმდევრობა და ურთიერთკავშირი.

● **რჩევები**

კლასტერის საერთო რჩევები

პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

● სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა და ძველი გამოცემები ჩანაცვლდეს თანამედროვე გამოცემებით.

● სასურველია, უნივერსიტეტმა ვებ-გვერდზე განათავსოს სრული ინფორმაცია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესახებ.

სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს საერთაშორისო კოლეგიალური შეფასების პრაქტიკა, უცხოელი კოლეგების ჩართულობით.

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ისე, რომ ხელი შეუწყოს მათი მიღწევის შეფასებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

არ არის მითითებული

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
1. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

[4] შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში_აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის მიზნები ნათლად არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია. მათში ასახულია დარგის აკადემიური და პროფესიული მოთხოვნები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დონე და მახასიათებლები. მიზნები ითვალისწინებს შესაბამის აკადემიურ დონეს. მიზნებში ხაზგასმულია ძირითადი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულებში, რაც უზრუნველყოფს მიზნობრივ და შედეგებზე ორიენტირებულ სწავლებას.

პროგრამის მიზნების ამბიციაა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სწავლის სფეროს განვითარებაში და რეგიონის საზოგადოების კეთილდღეობაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და სტრატეგიულ გეგმას. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას ინსტიტუციური დაგეგმვის სხვადასხვა დონეებს შორის და ხელს უწყობს პროგრამის ინტეგრაციას უფრო ფართო აკადემიურ ჩარჩოში.

მიზნების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად. პროგრამა პასუხობს ადგილობრივი დასაქმების მიმდინარე ტენდენციებს და

ორიენტირებულია კურსდამთავრებულების აღჭურვაზე სამუშაო გარემოში წარმატების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებით.

პროგრამების მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ -გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას პოტენციური სტუდენტებისთვის, დამსაქმებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. მიზნები გაზიარებულია და მხარდაჭერილია პროგრამის შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ. მიზნების შემუშავების პროცესში ჩართული არიან აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო წარმატებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი მიზნებია:

კურსდამთავრებული:

1) ქმნის დადებით, თანაბრად ხელმისაწვდომ, კეთილგანწყობილ სასწავლო გარემოს, რომელიც მხარს უჭერს თითოეული სტუდენტის პირად, ფიზიკურ, სოციალურ - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას.

2. გეგმავს სტუდენტთა სწავლა - სწავლებას და შეფასებას თანამედროვე მეთოდოლოგიის და მათ შორის უნივერსალური დიზაინის და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით. 3. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნულ - პატრიოტულ ღირებულებებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო აქტივობებს, როგორც აუდიტორიაში, ასევე კლასგარეშე სასწავლო პროცესებში.

3. ზრუნავს საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებაზე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, აძლიერებს მზაობას კარიერული წინსვლისთვის.

4. თანამშრომლობს სტუდენტებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან, თავის სფეროში ინოვაციების მიღების ორიგინალური გზების მხარდასაჭერად. ეთიკური სტანდარტების დაცვით ამყარებს განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ურთიერთობებს.

5. იძენს შესაბამის ცოდნას, უნარებს და იღებს ეფექტური მუშაობის პასუხისმგებლობას სპეციალური მასწავლებლის ჩაშენებული სასწავლო მოდულის და დამატებითი მოდულების დასრულებით.

6. ახორციელებს პრაქტიკულ კვლევას ან ემპირიულ კვლევას, წარადგენს კვლევის შედეგებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში. აჩვენებს მზაობას განათლების შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.

7. იძენს ცოდნას სკოლის დაწყებითი საფეხურისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასკოლო საგნებში.

მიზნების მისაღწევად პროგრამა იზიარებს წარმატებული სკოლების გამოცდილებას, ასევე ატარებს შეხვედრებს უცხოეთში სტაჟირება გავლილ მასწავლებლებთან. ასევე, აღნიშნული პროცესი

ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობას, რომლებიც სწავლობენ ან სწავლობდნენ უცხოეთში განათლების მიმართულებით.

პროგრამა მოიცავს რუკას, რომელიც აჩვენებს პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას და სწავლის შედეგებს, რომლებიც ხელს უწყობენ თითოეული პროგრამის მიზნის მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი მიზნებია:

კურსდამთავრებული:

ა) ქმნის სასწავლო გარემოს, რომელიც ეფუძნება ეროვნულ - პატრიოტულ სულისკვეთებას, პიროვნულ განვითარებას, ინკლუზიურობას, კეთილმსახურებას, დადებით სოციალურ - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას, ოჯახის ინსტიტუტის პატივისცემას, საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსალურ ეთიკური პრინციპებს და თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ბ) გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს ეროვნული საგანმანათლებლო გარემოს შესაბამისად, სტუდენტების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, იყენებს დიფერენცირებულ და ეფექტურ სტრატეგიებს, ხელს უწყობს ეროვნული და უნივერსალური ადამიანური ღირებულებების განვითარებას, აყალიბებს სტუდენტების თვითრეგულირებად ქცევასა და სწავლის უნარებს და იყენებს შეფასებას მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.

გ) ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, იღებს და ახორციელებს ინოვაციებს პედაგოგიურ პრაქტიკაში, აფასებს და აუმჯობესებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს.

დ) აძლიერებს მზაობას კრიტიკული რეფლექსიის და ინოვაციების განხორციელებისთვის, განათლების სფეროში დაგროვილი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლით.

პროგრამაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ სტუდენტი შეიძლება იყოს გამოცდილი მასწავლებელი ან პიროვნება, რომელსაც გამოცდილება არა აქვს და სურს მასწავლებლობა. შესაბამისად შეიქმნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის გარემო, სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის მხარდასაჭერად. პროგრამის მიზნები ასახავს ცოდნას და უნარებს, რომლებიც აუცილებელია კურსდამთავრებულების მოსამზადებლად უფროსი მასწავლებლისთვის შესაბამისი კომპეტენციებით და პროფესიული შესაძლებლობებით.

შესწავლილია შრომის ბაზრის მოთხოვნები. კერძოდ, ჩატარდა კვლევა და გაკეთდა დასკვნები. შრომის ბაზრის საჭიროებების საფუძველზე, გასულ წელს პროგრამას დაემატა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის" მოდული, ხოლო მიმდინარე წელს „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების" მოდული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბაზრის კვლევის შედეგები;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე)	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია მიზნების ასახვის და მხარდაჭერის მიზნით. მიზნები მოიცავს ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელიც მოსალოდნელია სტუდენტებისგან პროგრამის დასრულების შემდეგ. აღნიშნული სწავლის შედეგები ჩაშენებულია სასწავლო გეგმის შინაარსში და სტრუქტურაში, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ კავშირს სწავლებას და მისაღწევ კომპეტენციებს შორის. პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში წარმოდგენილი სიის ანალოგიურად, მაგრამ არ არის მორგებული ან ორიენტირებული კონკრეტული პროგრამის სპეციფიკურ მახასიათებლებზე. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გაზომვა. სწავლის შედეგები ფორმულირებული უნდა იყოს მკაფიოდ და გასაგებად, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიღწევების შეფასებას და პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგს.

ზემოაღნიშნულის გარდა, შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, სფეროს აღმწერს და მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის განსაზღვრულ აკადემიურ მოლოდინს.

სწავლის შედეგების შემუშავებისას მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. პროგრამები შემუშავებულია იმისათვის, რომ აღჭურვოს კურსდამთავრებულები კომპეტენციებით, რომლებიც შეესაბამება დარგში არსებულ დასაქმების მოთხოვნებს და ასევე უზრუნველყოფს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნული ორმაგი ორიენტაცია ხელს უწყობს დასაქმებას და აკადემიურ მობილობას. ასევე, გათვალისწინებულია სწავლის სფეროს სპეციფიკა და შრომის ბაზრის საჭიროებები.

სწავლის შედეგები შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობდნენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. გასაუბრებების ფარგლებში აღინიშნა, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმება წარმოადგინეს მოსაზრებები და შეხედულებები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

სწავლის შედეგი I – დადებითი სასწავლო გარემო;

სწავლის შედეგი II – სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;

სწავლის შედეგი III – პროფესიული განვითარების ვალდებულება;

სწავლის შედეგი IV – განზოგადებული სწავლის შედეგები;

სწავლის შედეგი V – ცოდნის და უნარების შემენა, რომელიც საჭიროა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებთან მუშაობისთვის;

სწავლის შედეგი VI – ემპირიული და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა;

სწავლის შედეგი VII – ცოდნის დაუფლება და გამოყენება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში.

აღნიშნული სწავლის შედეგების შესაბამისი ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამის პირველ დანართში, სადაც ისინი დეტალურად არის აღწერილი ცოდნის და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპეტენციების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელის მომზადების დარგობრივი მახასიათებლის" შესაბამისად, თუმცა, ისინი წარმოდგენილია პუნქტებად და მათი შესაბამისი ინდიკატორები გადმოტანილია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტიდან იმის ნაცვლად, რომ ჩამოყალიბებული იყოს ინდივიდუალურად პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგები არ არის გაერთიანებული, მაგალითად, 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგის სახით, რომლებიც ორიენტირებული იქნება პროგრამების ინდივიდუალურ მახასიათებლებზე. სწავლის შედეგების ასეთი ფორმით ჩამოყალიბება გაამარტივებდა მათ გაზომვას და დაინტერესებულ მხარეებს შეუქმნიდა უფრო მკაფიო წარმოდგენას პროგრამის ფარგლებში მისაღწევი ძირითადი სწავლის შედეგების და კომპეტენციების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია, გაერთიანდეს პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგი პროგრამის მთავარ სწავლის შედეგებზე ორიენტაციით, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევის ეფექტურ გაზომვას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

სწავლის შედეგი I – დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა;

სწავლის შედეგი II – სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ჩატარება და შეფასება;

სწავლის შედეგი III – პროფესიული განვითარების ვალდებულება;

სწავლის შედეგი IV – განზოგადებული სწავლის შედეგები.

აღნიშნული სწავლის შედეგების შესაბამისი ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამის პირველ დანართში, სადაც ისინი დეტალურად არის აღწერილი ცოდნის და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპეტენციების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელის მომზადების დარგობრივი მახასიათებლის" შესაბამისად, თუმცა, ისინი წარმოდგენილია პუნქტებად და მათი შესაბამისი ინდიკატორები გადმოტანილია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტიდან იმის ნაცვლად, რომ ინდივიდუალურად იყოს ჩამოყალიბებული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგები არ არის გაერთიანებული, მაგალითად, 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგის სახით, რომლებიც ორიენტირებული იქნება პროგრამების მახასიათებლებზე და ინდივიდუალურ ხასიათზე. სწავლის შედეგების ასეთი ფორმით ჩამოყალიბება გაამარტივებდა მათ გაზომვას და დაინტერესებულ მხარეებს შეუქმნიდა უფრო მკაფიო წარმოდგენას პროგრამის ფარგლებში მისაღწევი ძირითადი სწავლის შედეგების და კომპეტენციების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია, გაერთიანდეს პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგი პროგრამის მთავარ სწავლის შედეგებზე ორიენტაციით, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევის ეფექტურ გაზომვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაერთიანდეს პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგი პროგრამის მთავარ სწავლის შედეგებზე ორიენტაციით, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევის ეფექტურ გაზომვას.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე)	☐	**x**	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

- **განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.**
- **პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.**

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ჩაშენებულია პროგრამაში და მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს, ასევე განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებს, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ განხორციელებულ შეფასებებს და განსაზღვრული ცვლილებების

განხორციელებას. ორივე პროგრამაში გამოიყენება იდენტური სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. განსხვავება მდგომარეობს შეფასების პროცედურებში, რომლებშიც გათვალისწინებულია თითოეული პროგრამის შინაარსი და ხანგრძლივობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების მეთოდოლოგიას, მის კომპონენტებს, სწავლის შედეგების რუქის შემუშავების სპეციფიკას, შეფასების გეგმას, რუბრიკებს, მისაღწევ სამიზნე ნიშნულებს და ა.შ. ხელმისაწვდომი ინფორმაცია წარმოდგენილია ცალკეული ფრაგმენტების სახით და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ ჩატარებული შეფასებების მეშვეობით, რაც არ იძლევა შეფასების პროცესის და მიღწეული შედეგების მკაფიო სურათს. შესაბამისად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

ორივე პროგრამას გააჩნია შესაბამისობის რუკა, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგებს აკავშირებს კურსის სწავლის შედეგებთან. აღნიშნული რუკა წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების ინსტრუმენტს. თუმცა, რუკაში არ არის მითითებული, თუ რა დონეზე უზრუნველყოფენ ინდივიდუალური კურსები კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორ განიხილება სწავლის შედეგები გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების ეტაპებზე, ან როგორ ხდება აღნიშნული სწავლის შედეგების განვითარება. გარდა ამისა, არ არის მითითებული კურსის შეფასების კომპონენტების კონკრეტული ინსტრუმენტები (როგორიცაა ქვიზები, შუალედური გამოცდები, პროექტები და ა.შ.), რომელთა მეშვეობითაც ფასდება სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა ითვალისწინებდეს სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდს და პროგრამის სწავლის შედეგებთან ინდივიდუალური სასწავლო კურსების დონის შესაბამისობას.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სემესტრის დასაწყისში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კურსის სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესაბამისობის რუქის და ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რომლითაც იზომება მათი მიღწევები. ასევე, სტუდენტები რეკომენდაციების სახით იღებენ უკუკავშირს მოსწრების და დასაქმებისთვის მზაობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული დადასტურდა გასაუბრების ფარგლებში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც უკავშირდებოდა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გამოყენებას, გაიცა რეკომენდაცია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე, შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განახლებული ფორმები, რომლითაც გაძლიერდა შეფასების შედეგების გამოყენების ხარისხი და ეფექტურობა სტუდენტების მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის გამოყენების გასაძლიერებლად, პროგრამის შეფასების მექანიზმს დაემატა შემდეგი დებულება: "პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი ფორმები სტუდენტთა საჭიროებების საპასუხოდ, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი უნდა გამოიყენოს პროგრამის გასაუმჯობესებლად".

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შესახებ. შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების, შეფასების სისტემების ან სწავლება - სწავლის რესურსების მოდიფიცირება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალობას, ეფექტურობას და აკადემიურ სტანდარტებთან და საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობას. გასაუბრებების ფარგლებში აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები შედარებულია სამიზნე ნიშნულებთან, რაც ხელს უწყობს ხარვეზების გამოვლენას და უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას. უნდა განხორციელდეს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების არა მხოლოდ შეგროვება, არამედ ანალიზი, ანგარიშგება და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარება. აღნიშნული უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარებას. შესაბამისად, რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები და აღნიშნული ანგარიშები გაზიარებულ იქნას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების შეფასების ფორმა;
- კურსდამთავრებულების მიერ პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და რუბრიკები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომელის საფუძველზეც ჩამოყალიბდება თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქა ითვალისწინებდეს სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდს და პროგრამის სწავლის შედეგებთან ინდივიდუალური სასწავლო კურსების დონის შესაბამისობას.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები და აღნიშნული ანგარიშები გაზიარებულ იქნას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე)	☐	x	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებისას სტრუქტურირებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და

ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც შეესაბამება ინსტიტუციურ მიზნებს და ეროვნულ სტანდარტებს.

პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულის დონე შეესაბამება სასწავლო ციკლს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური განვითარების და სწავლის სიღრმის შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, დარგობრივი მახასიათებლის და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას, კრედიტების აღიარებას და აკადემიურ მობილობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად შეესაბამება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სასწავლო გეგმის სტრუქტურა სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამების სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ასახავენ პედაგოგიურ უწყვეტობას და აკადემიურ განვითარებას. ერთი კომპონენტიდან მეორეზე კომპონენტზე გადასვლის წინაპირობები შესაბამისად არის განსაზღვრული და ხელს უწყობს ცოდნის და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას.

პროგრამების განვითარება ხორციელდება თანამშრომლობითი პროცესის მეშვეობით, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მთელი რიგი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამებში გათვალისწინებულია აკადემიური სტანდარტები, შრომის ბაზრის მოთხოვნები და სტუდენტების საჭიროებები.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას. დეტალური ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სწავლის შედეგების და დაშვების წინაპირობების შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, რაც პოტენციური სტუდენტებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის უზრუნველყოფს გამჭვირვალობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- თავისუფალი კომპონენტის მოდული - 20 კრედიტი;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი მოდული - 55 კრედიტი;
- პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის მოდული - 70 კრედიტი;
- მეთოდოლოგიის მოდული - 50 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის მოდული - 35 კრედიტი;
- კვლევის მოდული - 30 კრედიტი;
- არჩევითი საგნები - 10 კრედიტი;
- არჩევითი მოდული - 30 კრედიტი;

ა) ინტეგრირებული სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული - 60 კრედიტი, მათ შორის:

- 30 კრედიტი ძირითადი პროგრამის მოდულების ძირითადი კურსებიდან;
- 30 კრედიტი ინტეგრირებული სპეციალური განათლების მოდულიდან;

ბ) დამატებითი მოდულები - 60 კრედიტი, მათ შორის:

- 30 კრედიტი ძირითადი პროგრამის მოდულების ძირითადი კურსებიდან;
- 30 კრედიტი დამატებითი მოდულიდან, როგორიცაა:

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება (V-VI კლასები) - 30 კრედიტი;

მათემატიკის სწავლება (V - VI კლასები) - 30 კრედიტი;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება (V-VI კლასები) - 30 კრედიტი;

ჩვენი საქართველოს სწავლება (V - VI კლასები) - 30 კრედიტი;

მუსიკის სწავლება (I-VI კლასები) - 30 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, "ინგლისური ენის C1" კურსი ისწავლება მეორე სემესტრში და მოიცავს 10 კრედიტს. შინაარსის მნიშვნელოვანი მოცულობის გათვალისწინებით, შეიძლება სტუდენტებისთვის რთული იყოს ერთ სემესტრში კურსის სრულად დაუფლება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურსის წინაპირობაა"ენობრივი უნარების B1 - B2 დონე",, პროგრამაში არ არის მითითებული, როდის ან როგორ უნდა მიაღწიონ სტუდენტებმა აღნიშნულ წინაპირობებს, საჭიროების შემთხვევაში. გარდა ამისა, არ არის რეკომენდებული საწყის ეტაპზე ინგლისური ენის C1 დონის კურსის შეთავაზება, ვინაიდან სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოეთხოვებათ ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება B1 დონეზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, რეკომენდებულია, ინგლისური ენის კურსები გადანაწილდეს ორ ან მეტ სემესტრზე და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად სწავლება დაიწყოს ცოდნის შესაბამისი დონიდან.

სასწავლო კურსი "მათემატიკა I, II" ისწავლება მესამე სემესტრში და მოიცავს 10 კრედიტს. ლოგიკურად, "მათემატიკა I" წინ უნდა უსწრებდეს "მათემატიკა II" - ს, ხოლო "მათემატიკა I" უნდა იყოს "მათემატიკა II" - ის წინაპირობა. შესაბამისად, რეკომენდებულია, გაიმიჯნოს "მათემატიკა I, II" სასწავლო კურსი და ჩამოყალიბდეს ორ ინდივიდუალურ კურსად "მათემატიკა I" და "მათემატიკა II", რომლებიც თემების განაწილებით შეთავაზებული უნდა იყოს ცალკე - ცალკე სემესტრებში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ლოგიკური თანმიმდევრობა და განვითარება.

სამაგისტრო ნაშრომი გათვალისწინებულია მეცხრე და მეათე სემესტრებში და დაყოფილია ორ ნაწილად, 5 და 15 კრედიტის მოცულობით. თუმცა, სტუდენტებმა ბოლო სემესტრში ერთდროულად უნდა დაიწყონ და დაასრულონ კვლევით კომპონენტზე მუშაობა, ჩაატარონ კვლევა, მიიღონ კრედიტები და შეფასებები. მასწავლებლის პროფესიისთვის კვლევითი კომპეტენციების მნიშვნელობის და განათლების მე-7 დონის მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებული იყოს ბოლო სემესტრში ერთიანი კვლევითი კომპონენტის სახით, გაზრდილი კრედიტების რაოდენობით.

პროგრამის ამჟამინდელი სტრუქტურა არ მოიცავს მასწავლებლის პროფესიისთვის მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა განათლების ფსიქოლოგია. გარდა ამისა, ისეთი კურსები, როგორიცაა "მათემატიკის სწავლების მეთოდები (I - IV კლასები)" და "საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდები I (I - IV კლასები)" შეთავაზებულია მხოლოდ ერთ სემესტრში და მოიცავს 5 კრედიტს. იმის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულებს ექნებათ აღნიშნული საგნების სწავლების უფლება, რეკომენდებულია, გაიზარდოს კურსების მოცულობა იმისათვის, რომ სრულად დაფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თემები. დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების სტანდარტებთან შესაბამისობის და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის და სწავლების მეთოდოლოგიის კურსები, გაზრდილი კრედიტების რაოდენობით.

გასაუბრებების ფარგლებში გამოავლინდა, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის ვიზიტამდე უკვე უზრუნველყო ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან, დააზუსტა კვალიფიკაცია და პროგრამის სახელოწდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განახლებული ვერსია, რომელშიც პროგრამის სახელწოდება და კვალიფიკაცია განსაზღვრულია შემდეგნაირად:

პროგრამის სახელწოდება: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა

კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I - IV კლასები) ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლებით და

შემდეგიდან ერთ - ერთი:

სპეციალურ მასწავლებლად მუშაობის უფლება;

დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება;

დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) მათემატიკის სწავლების უფლება ;

დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლება ;

დაწყებით საფეხურზე (V - VI კლასები) ჩვენი საქართველოს სწავლების უფლება;

დაწყებით საფეხურზე (I - VI კლასები) მუსიკის სწავლების უფლება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

ა) პედაგოგიურ - ფსიქოლოგიური მოდული - 20 კრედიტი;

ბ) ძირითადი მეთოდოლოგიის მოდული - 12 კრედიტი;

გ) სასკოლო პრაქტიკის მოდული - 10 კრედიტი;

დ) არჩევითი საგნები - 3 კრედიტი;

ე) არჩევითი საგნობრივი მეთოდოლოგიის მოდული - 15 კრედიტი.

საგნობრივი სწავლების მოდული მოიცავს 15 კრედიტს, რომელიც განაწილებულია ორ სემესტრზე. თუმცა, მათემატიკის და ინგლისური ენის მოდულები მოიცავს მხოლოდ 10 კრედიტს. ძირითადი მეთოდოლოგიური მოდული უნდა მოიცავდეს 12 კრედიტის, თუმცა პროგრამის არსებული სტრუქტურა მოიცავს 17 კრედიტს, რადგან "ციფრული ინსტრუმენტების" კურსი პირველ სემესტრში მოიცავს 5 კრედიტს, ხოლო მეორე სემესტრში 2 კრედიტს. შესაბამისად, რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და დაკორექტირდეს საგნების / მოდულების კრედიტების განაწილება.

პროგრამის არსებული სტრუქტურა არ მოიცავს განათლების ფსიქოლოგიის კომპონენტს, რომელიც მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიისთვის. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის სპეციალური კურსი.

გასაუბრებებისას გამოვლინდა, რომ აკრედიტაციის ვიზიტამდე უნივერსიტეტმა დააკორექტირა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საგნობრივი მოდულების სია მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესასაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის შედეგად დაზუსტდა სახელწოდებები და განათლების საფეხურები ქართულ და ინგლისურ ენებზე. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს გამოითხოვა და შეისწავლა პროგრამის განახლებული ვერსია, კორექტირებული სახელოწდებებით და საგნობრივი მოდულებით, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

(ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთ - ერთი საგნის სწავლების უფლებით დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე:

ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხურები);

მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხურები);

ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები);

ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხურები);

ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხურები);

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (დაწყებითი საფეხური);

ფიზიკური აღზრდა და სპორტი (საბაზო და საშუალო საფეხურები);

ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები).)

დამვების წინაპირობებში დაზუსტებულია, რომ პროგრამა შეთავაზებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის საგანში ან საგნობრივ ჯგუფში. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, შემუშავებული იყო თუ არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმა სპეციალურად საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს ინტეგრირებული სასწავლო გეგმის არსებობა, პროგრამის განახლებულ იდოკუმენტი არ მოიცავს აღნიშნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებული საგნების სემესტრული განაწილება, მკაფიოდ გამოკვეთოს მათი ლოგიკური თანმიმდევრობა და ურთიერთკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, ინგლისური ენის კურსები გადანაწილდეს ორ ან მეტ სემესტრზე და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად სწავლება დაიწყოს ცოდნის შესაბამის დონეზე.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი, გაზრდილი კრედიტების რაოდენობით, შეთავაზებული იყოს ბოლო სემესტრში ერთიანი კვლევითი კომპონენტის სახით.
- რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის და სწავლების მეთოდიკის კურსები გაზრდილი კრედიტების რაოდენობით.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და დაკორექტირდეს საგნების / მოდულების კრედიტების განაწილება.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებული საგნების სემესტრული განაწილება, მკაფიოდ გამოკვეთოს მათი ლოგიკური თანმიმდევრობა და ურთიერთკავშირი.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების	☐	**x**	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ორივე პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს კურსები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. თითოეული კურსი უზრუნველყოფს პროგრამის დონეზე განსაზღვრული კომპეტენციების, უნარების და ცოდნის სფეროების განვითარებას. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი სტრუქტურირებულია თანმიმდევრულად სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული სწავლის შედეგები მკაფიოა, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მიიღებენ კურსით განსაზღვრულ ცოდნას და უნარებს.

კურსებში კრედიტები განაწილებულია შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად. კრედიტების განაწილება ასახავს მოთხოვნილ აკადემიურ ძალისხმევას და ბალანსს საკონტაქტო საათებს და დამოუკიდებელ სწავლას შორის. აღნიშნული თანაფარდობა რეგულირდება სასწავლო კურსის თავისებურებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების მეთოდების და სტუდენტების სამუშაო დატვირთვის პედაგოგიურად დასაბუთებას. გარდა ამისა, საკონტაქტო საათების რაოდენობა უზრუნველყოფს კურსის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებში ჩამოყალიბებული თითოეული სწავლის შედეგი ფასდება შესაბამისი, მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდებით. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების მოსწრების გაზომვას სწავლის შედეგების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. აღნიშნული მასალები შერჩეულია იმ მიზნით, რომ სტუდენტებს შეასწავლოს ძირითადი ცნებები და გამოუმუშავოს უნარები, რაც ხელს უწყობს როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, სასწავლო რესურსები მოიცავს თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ აქტუალობას. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია თითოეული კურსის სპეციფიკა, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს სიღრმისეული და მნიშვნელოვანი ჩართულობის საფუძვლით.

თვითშეფასების ანგარიშის და სილაბუსების თანახმად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფარგლებში შემუშავებულია შესაბამისობის რუქა, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგებს აკავშირებს ინდივიდუალური სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსის სილაბუსები მოიცავს ცხრილებს, სადაც აღწერილია, თუ რომელი თემები უზრუნველყოფენ კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას. ორივე პროგრამის სილაბუსებში ასევე მითითებულია თითოეულ თემასთან დაკავშირებული აქტივობა. როგორც წესი, პირველი შეხვედრა მოიცავს გაცნობას, განხილვას, დიალოგს და სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო მასალების, სწავლის შედეგების და სწავლების მეთოდების შესახებ. კურსის შეფასება მოიცავს სტუდენტების უკუკავშირს ესეების, რეფლექსიების და ანგარიშების სახით. ლექტორი აანალიზებს აღნიშნულ თვისებრივ უკუკავშირს , რომელიც შემდგომ გამოიყენება სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად და სამომავლო ცვლილებების დასაგეგმად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შემოწმდა ბალანსი სასწავლო კურსების საკონტაქტო საათებს და დამოუკიდებელი სწავლის დროს შორის.
სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურაში არ არის მითითებული საათების ფიქსირებული რაოდენობა. ამის ნაცვლად, ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები თავად აღრიცხავდნენ, თუ რამდენი საკონტაქტო საათი იყო საჭირო თემის სწავლის შედეგების მისაღწევად და რამდენი დამოუკიდებელი მუშაობის დრო იყო საჭირო დავალებების შესასრულებლად. ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგადად საკონტატქო საათები საკმარისი იყო. თუმცა, როდესაც სტუდენტებს სურდათ გარკვეული საკითხების დაზუსტება, ისინი იყენებდნენ კონსულტაციებს. ასევე საკმარისი იყო დამოუკიდებელი სამუშაო დრო. მცირე მოცულობის დავალებების შემთხვევაში გამოიყენებოდა შეფასების ყველაზე ეფექტური ფორმა, როგორიცაა პრეზენტაციები. აღნიშნული მიდგომა სტუდენტებს აძლევდა მეტ დროს მოსამზადებლად, ხშირად რამდენიმე სესიას, რაც მათ საშუალებას აძლევდა წინასწარ დაეგეგმათ სწავლა. სასკოლო პრაქტიკის კურსების წინასწარმა უკუკავშირმა გამოავლინა საკონტაქტო საათების გაზრდის საჭიროება. მსგავსი მოთხოვნა აღინიშნა „აკადემიური წერის" კურსთან მიმართებითაც. მოცემული საკრედიტო ჩარჩოს ფარგლებში, სასკოლო პრაქტიკის საათები განაწილდა კურსის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად.

სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა მოძველებული მასალები. მაგალითად, "ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის" სასწავლო კურსში მითითებულია 1965, 1969 და 1972 წლების გამოცემები. შესაბამისად, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა და ძველი გამოცემები ჩანაცვლდეს თანამედროვე გამოცემებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ვინაიდან პროგრამის ხანგრძლივობაა ერთი სასწავლო წელი, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეფასდება წლის ბოლოს ინდივიდუალურად და ერთიანად. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მიდგომით გაიზარდა სტუდენტების

პასუხისმგებლობა მათი სწავლის ხარისხის მიმართ და გაუმჯობესდა აკადემიური მოსწრება. აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო პედაგოგიური პრაქტიკის ეტაპზე. ეფექტური აღმოჩნდა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად შემუშავებული მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა მიზნობრივი მონიტორინგი თემაზე „სასწავლო დატვირთვის, სწავლების და შეფასების ბალანსი", იმისათვის, რომ კრედიტების განაწილება შესაბამიოსბაში ყოფილიყო კურსის შინაარსთან. შედეგად, დაფიქსირდა მცირე ჯგუფური აქტივობების ზრდა ისეთ კურსებში, როგორიცაა ციფრული ინსტრუმენტები და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სილაბუსში წარმოდგენილი საგანმანათლებლო აქტივობების მრავალფეროვნებით. მათ ასევე აღნიშნეს შეფასების ფორმები, კრიტერიუმები, რუბრიკები, შეფასების სისტემები და შეფასების სხვა ინსტრუმენტები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კურსის მასალის დაუფლებას.

მუდმივად ხორციელდება კურსის შინაარსის განახლება. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კონკრეტული ცვლილებები განხორციელდა შემდეგ სასწავლო კურსებში: საგნობრივი სასწავლო გეგმის შემუშავება – მეთოდები, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის პროფესიაში. ეს უკანასკნელი შექმნილია იმისთვის, რომ პირდაპირ გაითვალისწინოს განათლების სფეროში არსებული უახლესი ინოვაციები და ტენდენციები.

სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე, კურსის მასალები განთავსებულია ინდივიდუალურ ციფრულ საცავზე (მაგალითად, ცალკე დისკებზე), ხოლო სპეციალიზებული რესურსები ხელმისაწვდომია შესაბამის ობიექტებში, როგორიცაა სპორტდარბაზი და ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპიუტერული ლაბორატორია.

სილაბუსების შესწავლისას გამოავლინდა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ არის ჩამოყალიბებული გაზომვადი ფორმით. მაგალითად, „სპეციალური განათლების" სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ მოიცავს გაზომვად განმარტებებს, რამაც შეიძლება გაართულოს სწავლის შედეგების შეფასება. სასურველია, გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ისე, რომ ხელი შეუწყოს მათი მიღწევის შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი;
- გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების უკუკავშირი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა და ძველი გამოცემები ჩანაცვლდეს თანამედროვე გამოცემებით.

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ისე, რომ ხელი შეუწყოს მათი მიღწევის შეფასებას.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის	**x**	☐	☐	☐

მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)				
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგნმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე)	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე)	☐	x	☐	☐

1. 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე დაშვება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. აღნიშნული წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს, პროგრამებზე შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე პირების მიღებას, რომლებიც შეძლებენ სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მე - 7 დონე)

აპლიკანტებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებით უნდა ჩააბარონ სამი სავალდებულო საგანი. უცხოელ აპლიკანტებს სტუდენტის სტატუსი ენიჭებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს, შეუძლიათ პროგრამაზე გადმოსვლა ოფიციალური მობილობის პროცესის მეშვეობით (საქართველოს კანონმდებლობის და ინსტიტუციური აკადემიური პოლიტიკის შესაბამისად).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესები. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მაქსიმალური რაოდენობის სტუდენტების ჩარიცხვის მხარდასაჭერად; თვითშეფასების ანგარიშისი თანახმად შენარჩუნებულია ერთი აკადემიური პერსონალის წევრის 15 სტუდენტზე თანაფარდობა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა ადეკვატურია, ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობით 1:4 - თან. პროგრამაში მცირდება სტუდენტების საერთო რაოდენობა, ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 58 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

პროგრამაზე დაშვების შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამის საინფორმაციო პაკეტში და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მე - 6 დონე)

პროგრამაზე დაშვება შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47 - მუხლს - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

წარმოდგენილი განცხადებების და დამადასტურებელი დოკუმენტების დადასტურება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შედეგებით გადამოწმება და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება). წერითი გამოცდების ჩატარების თარიღი ცხადდება სულ მცირე ერთი თვით ადრე, საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქციების გაცნობის მიზნით აპლიკანტებს უტარდებათ მოსამზადებელი შეხვედრა. წერითი გამოცდა ტარდება პედაგოგიური ესეს სახით, რომლის მიზანია აპლიკანტების ცოდნის, უნარების, პროფესიული დამოკიდებულებების და მომავალი პროფესიული განვითარების ხედვების შეფასება.

პროცესისთვის იქმნება საგამოცდო კომისია, ხოლო ინფრომაცია შეფასების შედეგების და მიღების შესახებ აპლიკანტებს ეცნობებათ მოკლე ვადაში.

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მიჰყვება სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას. ზოგადად, სტუდენტთა რაოდენობა მცირდება, თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელების თანახმად, ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 28 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა ვებ - გვერდზე განათავსოს სრული ინფორმაცია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესახებ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 7 დონე)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე - 6 დონე)	**x**	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლოდა ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რაც შეეხება პედაგოგიურ პრაქტიკას, კლასტერში დაჯგუფებულ ორივე პროგრამაში დანერგილია პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების ერთიანი პროცედურა. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 10 პარტნიორ სკოლასთან, პედაგოგიური პრაქტიკის განსახორციელებლად (მათ შორის ერთი სკოლა თავად უნივერსიტეტის კამპუსზე მდებარეობს). ყველა პარტნიორი სკოლა მონაწილეობდა სასკოლო პრაქტიკის განხორციელების ერთობლივად შემუშავებული პროგრამის შექმნაში.

ორივე პროგრამაში პედაგოგიური პრაქტიკა მნიშვნელოვნad გადაიხედა. ორივე პროგრამა მოიცავს სასკოლო პრაქტიკის კვლევით კომპონენტს, თუმცა მიდგომები ერთმანეთისგან განსხვავდება. 60 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში, პედაგოგიური პრაქტიკისთვის გამოყოფილია 10 კრედიტი (პროგრამა განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც უკვე აქვთ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება სკოლაში, თუმცა არ აქვთ ფორმალური პედაგოგიური სტატუსი). რაც შეეხება ინტეგრირებულ (300 კრედიტიან) პროგრამას, სასკოლო პრაქტიკისთვის გათვალისწინებულია 35 კრედიტი, კიდევ 10 კრედიტი კი ინტეგრირებულია ჩაშენებულ და დამატებით მოდულებში.

ამასთანავე, კლასტერში დაჯგუფებულ ორივე პროგრამას რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვს, მათ შორის პედაგოგიური (სასკოლო) პრაქტიკა. ეს მოიცავს პრაქტიკის განხორციელების, სტრუქტურირებულ სასკოლო ვიზიტების, შეფასების სტანდარტიზებული ფორმის (სასკოლო პრაქტიკის პორტფოლიო) გამოყენებას, რეფლექსიური აქტივობების, პედაგოგიური მეთოდებისა და სწავლების სტრატეგიების ერთიან ჩარჩოს.

რაც შეეხება სასკოლო პრაქტიკის სპეციალიზებულ პროგრამას, სპეციალური განათლების მასწავლებლის მიმართულების ჩაშენებულ მოდულში, განსაზღვრულია პრაქტიკის სპეციფიური ადგილები და პროცესს მეთვალყურეობას უწევენ სპეციალური განათლების უფროსი მასწავლებლები.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხორციელდება რეფლექსიური პრეზენტაციის, ან პედაგოგიური პრაქტიკის პორტფოლიოს წარდგენით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	**x**	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის ხელშეწყობას და ცდილობს სწავლება- სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას.

სილაბუსებში მოცემული ინფორმაცია მიუთითებს, რომ სასწავლო კურსებისთვის შერჩეული სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, საგნის შინაარსს, ასევე სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათი მიღწევის შესაძლებლობას. ამ მეთოდებს გააჩნიათ პოტენციალი, უზრუნველყონ სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში, აგრეთვე სტუდენტებსა და პერსონალს შორის და თავად სტუდენტებს შორის ინტერაქცია. ამას გარდა, ამ მეთოდებს გააჩნიათ პოტენციალი, უზრუნველყონ სტუდენტთა მონაწილეობა სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სათანადო დონით და მიმართულია სტუდენტების სხვადასხვა უნარების განვითარებისკენ.

სწავლება- სწავლის გამოყენებულ მეთოდებს ასევე აქვს მოქნილობის პოტენციალი და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

უნივერსიტეტმა ჩაატარა პერსონალის განვითარების ღონისძიება (ტრენინგ- სესია) თემაზე – აქტიური სწავლება- სწავლა უმაღლეს განათლებაში, რომლის მიზანიც იყო კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- გასაუბრება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	**x**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაძლებელია შეთანხმება იმაზე, რომ კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომლებიც ნათელი და სამართლიანია თითოეული სტუდენტისთვის, ასევე გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს სტრუქტურირებული და ლოგიკური ფორმით. სილაბუსებში აღნიშნულია, რომ შეფასების მეთოდები ითვალისწინებს კონკრეტული საგნის

სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს. გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, მოქმედებს შუალედური (60 ქულა) და საბოლოო შეფასება (40 ქულა).

ასევე დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაც. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: –"ლოგიკა, არგუმენტაცია, დისკურსი – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, ცოდნის გადაცემის უნარი – 15 ქულა, ინოვაცია – 10 ქულა, დისკუსიაში მონაწილეობა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის დებულება განსაზღვრავს ხელმძღვანელის შერჩევის წესსა და მის პასუხისმგებლობებს.

სტუდენტების მხრიდან დადასტურებულია, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები მათთვის ცხადია და წინასწარაა ცნობილი. მათ ასევე დაადასტურეს, რომ იღებენ უკუკავშირს სწავლის შესახებ, მათ შორის – ძლიერ და გსაუმჯობესებელ მხარეებზე.

სტუდენტთა სწავლის შეფასების პროცესში უნივერსიტეტი იყენებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის თავიდან აცილების მექანიზმებს. გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფა. ჯერჯერობით პროგრამებში არ არის შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა. კლასტერი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის წესით. სტუდენტები და პერსონალი წინასწარ არიან ინფორმირებული აღნიშნული პროცედურების შესახებ. ასევე, აღნიშნულ ნაწილში მნიშვნელოვანი როლი აქვს ეთიკის კოდექსს.

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა და სტუდენტები ინფორმირებულები არიან აღნიშნულის შესახებ. სჩანს, რომ გასაჩივრების პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია.

უნივერსიტეტმა გარკვეულწილად წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ ის აანალიზებს შეფასების შედეგებს და იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. ასევე, უნივერსიტეტი გარკვეულ დონეზე უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის მონიტორინგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- გასაუბრება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის შეიმუშაოს მკაფიო სახელმძღვანელო სწავლასა და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	**x**	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) საფეხური)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	x	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი შეესაბამება სტანდარტს.

წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ დროული კონსულტაციები, საგანმანათლებლო პროცესის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესახებ. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება

როგორც საინფორმაციო დაფაზე, ისე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ამასთანავე, სტუდენტები ინფორმირებულები არიან დეკანატისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებს კონსულტაციებს აწვდის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, ხოლო აკადემიურ მიმართულებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სპეციალიზებული დეპარტამენტი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პედაგოგი. თითოეულ სილაბუსში მითითებულია საკონსულტაციო დღეები და საათები. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტები იღებენ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისგან. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახური ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინდივიდუალური საათობრივი ცხრილით ან აღდგენის სერვისით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, იმ განყოფილებაში, რომელიც შეიცავს სამართლებრივ და სხვა სახის ინფორმაციას – როგორიცაა წესდება, მისია და ხედვა, სამართლებრივი გზამკვლევი, სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, წლიური ანგარიშები და ა.შ., ასევე წარმოდგენილია სტუდენტის სახელმძღვანელოს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტუდენტებისთვის ყველა იმ საკითხზე, რაც შესაძლოა დასჭირდეს სტუდენტებს: https://tbeli.ge/files/2222%20.%20Tbeli-_-Studentis-cnobari-_-2025.pdf. ინფორმაცია სტრუქტურირებულია კარგადაა სტრუქტურირებული. დოკუმენტაცია მოცემულია შემდეგ საკითხებზე: ა) სტუდენტის სტატუსის მიღება, შეჩერება, შეწყვეტა, ბ) აკადემიური პირობები და ფინანსური ვალდებულებები, გ) სტუდენტთა უფლებები, მოვალეობები და ქცევის ნორმები, დ) საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება, ე) მობილობა და აკრედიტაციის აღიარება, ვ) გამოცდები, საგამოცდო ნაშრომები და გასაჩივრება, ზ) საგანმანათლებლო პროგრამები, თ) კარიერული განვითარების ხელშეწყობა, ი) უსაფრთხოება და პირველადი დახმარება, კ) სტუდენტური ინიციატივები, ლ) ბიბლიოთეკის გამოყენება. აღნიშნული სათაურების ქვეშ მითითებულია შესაბამისი დოკუმენტის დასახელება და ბმული. მაგალითად, დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესს, მისი შინაარსისა და მნიშვნელობის შესაბამისად, წარმოდგენილია რამდენიმე მიმართულებით. „ბიბლიოთეკის გამოყენების“ მიმართულებაში მოცემულია ბიბლიოთეკის გამოყენების წესები, ელექტრონული კატალოგის ბმული, ასევე პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი.

უნივერსიტეტში სწავლა უფასოა. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს კამპუსზე განთავსების შესაძლებლობასა და ყოველდღიურ კვებას სასადილოში. ორივე სერვისი განთავსებულია უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე.

ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტთა მხარდამჭერის ფორმები მოიცავს: ა) დამატებით კონსულტაციებს საჭიროებისამებრ, მოსახერხებელ დროს; ბ) კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას; გ) სოციალური დახმარების ფორმებს (მაგალითად, უფასო კვება და ა.შ.); დ) სტიპენდიებს წარმატებული სწავლისთვის; ე) უკმაყოფილების გასაჩივრების უფლებას ნებისმიერი პირის მიმართა.

სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომლის შემადგენლობაშიც შედის თვითმმართველობის ყველა წევრი. მას ჰყავს კოორდინატორი, რომელიც ერთწლიანი ვადით არის არჩეული. სტუდენტების როლი მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის, ისე ზოგადად უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ერთი სტუდენტი, თვითმმართველობის საერთო კრების წარდგინებითა და ფაკულტეტთან შეთანხმებით, არის ფაკულტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – ფაკულტეტის საბჭოს – წევრი.

სტუდენტური თვითმმართველობის რეგულაციის მიხედვით, „უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განიხილავს და ამზადებს კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო, სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების წინადადებების პროექტებს," რაც თავად სტუდენტების მიერაც დადასტურდა. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მოინახულონ რეგიონის ღირსშესანიშნაობები და დაესწრონ მოწვეული სტუმრების ლექციებს. მაგალითად, 2025 წლის 24 მაისს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა ვორქშოფი კარიერული განვითარების უნარების განვითარების საკითხზე. შეხვედრაზე, როელიც ერთ- ერთი გავლენიანი ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან გაიმართა, განხილული იყო სამუშაოს ძიების, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის წერის, ასევე გასაუბრებისთვის მომზადების თანამედროვე მეთოდები.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 ECTS) სტუდენტებს შორის მრავლად არიან დასაქმებული მასწავლებლები. როგორც დამსაქმებლებთან შეხვედრაზე აღინიშნა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს განსაკუთრებული ავტორიტეტი აქვთ რეგიონის სკოლებში.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტებს წვდომა აქვთ „Elsevier"-ის ScienceDirect-ისა და Scopus-ის მონაცემთა ბაზებზე. ScienceDirect მოიცავს სამეცნიერო, ტექნიკური და სამედიცინო მიმართულების რეფერირებული პუბლიკაციების თითქმის მეოთხედის სრულ ტექსტებს. Scopus კი წარმოადგენს ციტირების, რეზიუმირების და ინდექსირების ბაზას, რომელიც კვლევის ანალიზის შესაძლელობას იძლევა ყველა მიმართულებით. ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელების მეშვეობით. ბაზებზე წვდომის მოსაპოვებლად ინტერნეტ ბრაუზერის მისამართების ველში უნდა მიეთითოს შემდეგი ბმულები: www.sciencedirect.com ან www.scopus.com. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, სტუდენტები მონაწილეობენ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც ინტეგრირებულია სასწავლო გეგმაში. მაგალითად, ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის კვლევით მოდული მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს: „კვლევა და კვლევის მეთოდები განათლებაში", „განათლების უახლესი კვლევები" და „სამაგისტრო ნაშრომი".

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში, „მასწავლებლის პროფესიის თანამედროვე გამოწვევების" კურსის ერთ- ერთი თემაა „განათლების თანამედროვე კვლევები". იგივე თემა მოცულია კურსში „ზოგადი პედაგოგიკა", სადაც 4 საათი გამოყოფილია კვლევით სემინარზე.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, რომლის რეგულაციებიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული და სპორტული აქტივობების პოპულარიზაციას, ორგანიზებასა და განხორციელებას (უნივერსიტეტში ინტელექტუალური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ხასიათის სტუდენტური შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება). ვიზიტის დროს უნივერსიტეტში ნაკლებად შეიმჩნეოდა შემოქმედებითი და სპორტული აქტივობების ამსახველი ღონისძიებები. თუმცა, სპორტი, როგორც სასწავლო კურსი, ინტეგრირებულია ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში.

რაც შეეხება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებას, პროგრამის 66 კურსდამთავრებულიდან 16 გახდა წამყვანი მასწავლებელი, 4

დაინიშნა სკოლების დირექტორად, ხოლო 6 – საგანმანათლებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ასევე, 1 კურსდამთავრებული გახდა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე დასასწრებად იწვევენ კურსდამთავებულებსაც. მათ შორის 1 დოქტორანტია, ხოლო რამდენიმე კი მაგისტრანტი.

300 კრედიტიან პროგრამას კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- პროგრამების აღწერილობები და სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	**x**	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინტეგრირებულ პროგრამას ამ ეტაპზე კურსდამთავრებული არ ჰყავს, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხზე მსჯელობა შეუძლებელია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მთელი სასწავლო გეგმა და რამდენიმე თანმდევი დოკუმენტი ქმნის შესაბამის წინაპირობებს. კერძოდ, წარმოდგენილია როგორც სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, ისე მისი ზეპირი დაცვა.-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, ფასდება 100-ქულიანი სისტემით(კრიტერიუმებია: ლოგიკა, არგუმენტაცია, დასაბუთება – 30 ქულა; ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა; გადაცემის უნარი – 15 ქულა; სიახლე – 10 ქულა; დისკუსიაში მონაწილეობა – 15 ქულა; საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მისი მომზადების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის რეგულაციები განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის წესსა და მის პასუხისმგებლობებს. შეფასების ფორმები და მეთოდები: უწყვეტი შეფასება, რაც გულისხმობს სტუდენტის საქმიანობის შეფასებას მთელი კურსის განმავლობაში და არა მხოლოდ საბოლოო გამოცდაზე. სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი 20 კრედიტიანია.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	

//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	x	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

ორივე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოცდილება იმისათვის რათა განხორციელონ სასწავლო კურსები და სტუდენტებს დაეხმარონ სწავლის შედეგების მიღწევაში . პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ისინი ასევე აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების განხორციელებასა და სწავლებაში. ორივე პროგრამა დიდწილად იყენებს საერთო აკადემიურ რესურსებს. თითოეული პროგრამის ხელმძღვანელის როლები და პასუხისმგებლობები რეგულირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციებით. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, ხელშეკრულების სახეები და სამუშაო დატვირთვის მოლოდინები ასევე იდენტურია ორივე პროგრამისათვის და შეესაბამება უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას. თუმცა, უნივერსიტეტს არ გააჩნია აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის კონტროლის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებდა მათ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ ვალდებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი „უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს გარე დატვირთვებს, ეს პრინციპი პრაქტიკაში არ გამოიყენება.

ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, ზოგადად, ვერ ავლენს ინგლისური ენის ცოდნას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პროგრამების სამომავლო განვითარებას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობასა და ინსტიტუციის საერთაშორისო პარტნიორობებს.

პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა პოლიტიკის შესაბამისად. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი აკადემიური ხარისხით, პროფესიული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით/წიგნებით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამეცნიერო ხარისხის პარალელურად, აკადემიურ პერსონალს მინიჭებული აქვს მასწავლებლის სტატუსი (მენტორი, წამყვანი ან უფროსი), რაც მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის განხორციელებისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მოწვეული ლექტორების კვალიფიკაცია დასტურდება მათი ექსპერტიზით, პრაქტიკული გამოცდილებითა და კომპეტენციებით. მიუხედავად ამისა, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ პროგრამისთვის სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით მაღალი რანგის

სამეცნიერო ჟურნალებში. აკადემიურმა პერსონალმა ასევე აღნიშნა, რომ ისინი სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში, რაც მიზნად ისახავს კვლევითი აქტივობებისა და ლექტორებსა დასტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. პერსონალთან გამართულმა ინტერვიუებმაც აჩვენა, რომ როგორც ლექტორები, ისე სტუდენტები საშუალო დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების კუთხით.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვის განაწილება საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებისათვის. პროგრამა ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის სემესტრული სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც საჭიროების მიხედვით, რეგულარულად გადაიხედება და გადახალისდება. სამუშაო დატვირთვაში სპეციალურადაა გამოყოფილი საათები სტუდენტთა კონსულტაციებისა და აკადემიური მხარდაჭერისთვის. სტუდენტებთან გამართულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო საათები ოფიციალურად შედის პერსონალის სამუშაო დატვირთვაში, კონსულტაციები ასევე ტარდება ამ საათების მიღმაც, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. მსგავსი მოქნილი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში, რადგან შესაძლებელი გახდა გამოტოვებული სესიების კომპენსირება და ახალი გამოწვევების გადაჭრა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თითოეული აკადემიური პერსონალი აფილირებულია დაწესებულებასთან. გარდა ამისა, დამხმარე პერსონალის რაოდენობა შეესაბამება ტუდენტთა რაოდენობას. აკადემიური პერსონალი ჩართულია როგორც სტუდენტეთა კონსულტაციებში, ისე პროგრამის განვითარებაში, რისთვისაც ისინი თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელთან და მონაწილეობენ შეხვედრებში.

ინფორმაცია ლექტორებისა და მატერიალური რესურსების შესახებ ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (tbel.ini.ge), სადაც სტუდენტებს ასევე შეუძლიათ იხილონ დასწრება და შეფასებები.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო კომპეტენციასა და გამოცდილებას. მისი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი აკადემიური გამოცდილებით, პროფესიული პრაქტიკითა და პუბლიკაციებით. გასაუბრების შედეგები მიუთითებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის მის შეფასებაში, გაუმჯობესებაში, განხორციელებასა და სტუდენტთა ხელმძღვანელობის პროცესში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა პოლიტიკის შესაბამისად. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი აკადემიური ხარისხით, პროფესიული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით/წიგნებით. მიუხედავად ამისა, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ პროგრამისთვის სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალის

სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში. პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. 13 აკადემიური პერსონალიდან 4 მენტორი, 1 წამყვანი და 3 უფროსი მასწავლებლის ჩართულობა მიუთითებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერის ძლიერ პოტენციალზე. პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტებს კოორდინირებენ სკოლებიდან მოწვეული პროფესიონალები, მათ შორის ორი უფროსი მასწავლებელი და ერთი წამყვანი მასწავლებელი, რომელთაც ასევე გააჩნიათ ხარისხის განვითარების სერტიფიკატი და ექსპერტიზა ზოგადი განათლების საგნებში. თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია დადასტურდა პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებს საფუძველზე. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შედარებით მსუბუქი დატვირთვა აქვს. ისინი, ჩვეულებრივ, მუშაობენ კვირაში 4 დღე, დღეში მაქსიმუმ 8 საათი. გასაუბრებს თანახმად, ეს დატვირთვა გონივრული და სათანადოა მათი პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვის განაწილება საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო კომპეტენციასა და გამოცდილებას. მისი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი აკადემიური გამოცდილებით, პროფესიული პრაქტიკითა და პუბლიკაციებით. გასაუბრებს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული როგორც პროგრამის შეფასების, ისე სტუდენტთა კონსულტირების პროცესებში.

პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	26	26	12	5
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	21	21	7	0_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

[6] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	19	19	8	5
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	14	14	8	5
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) და სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი) და სულაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის CV-ები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი.
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

[7] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, გააძლიერებს აკადემიური პერსონალის კვლევით შედეგებს და გააღრმავებს საერთაშორისო თანამშრომლობას.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გაუმჯობესებას, მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების წახალისებით და კონკურენტუნარიან კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობით.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	☐	x	☐	☐

4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)
ეს კომპონენტი ეხება მხოლოდ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას.

მაგისტრანტების ხელმძღვანელობისთვის საჭირო კვალიფიკაციები და სხვა პროცედურული საკითხები რეგულირდება „მაგისტრატურის დებულებით." სამეცნიერო ხელმძღვანელებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები დადგენილია პროგრამის ბუნებისა და მოთხოვნების შესაბამისად. კვლევითი კომპონენტის შესრულების პირობები, შეფასებისა და დაცვის პროცედურები და მასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტებში. მიუხედავად ამისა, პროგრამას ჯერჯერობით კურსდამთავრებული არ ჰყავს. აღსანიშნავია, რომ 300 კრედიტიანი პროგრამა მოქმედებს 2021 წლიდან. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა შერჩევა და დანიშვნა დაგეგმილია მომავალი წლიდან. უკვე შედგენილია სამომავლო ხელმძღვანელთა სია, რომელშიც მითითებულია მათი კვლევითი ექსპერტიზის სფეროები, აკადემიური პუბლიკაციები, მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. აკადემიურ პერსონალს გააჩნია მაგისტრანტების ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილება, რამეთუ უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ახორციელებს სამაგისტრო პროგრამებს განათლების სფეროში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტუდენტები უკვე მეხუთე სემესტრიდან იწყებენ ნაშრომისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევის პროცესს, „კვლევა და კვლევის მეთოდები განათლებაში" – კურსის ფარგლებში, რაც მათ ეხმარება გააზრებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში. სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათ უმეტესობას უკვე განსაზღვრული აქვს სამაგისტრო ნაშრომის თემატური მიმართულება და გამართული აქვთ კონსულტაციები შესაძლო ხელმძღვანელებთან მომავალი კვლევის შესახებ.

პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)[8]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული

[8] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

		დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [9]	აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	21	7	0_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხელმძღვანელთა პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში / მონოგრაფიები, გამოქვეყნებული საერთაშორისო პუბლიკაციების სახით/ წიგნები;
- უსდ-ის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო ხელმძღვანელების პირადი საქაღალდეები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს აკადემიური პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების გამოკითხვებს, რასაც მოჰყვება შედეგების ანალიზი და შესაბამისი ქმედებების განხორციელება. მაგალითად, გამოკითხვების შედეგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა საჭიროება, წახალისდეს აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში. გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილი იყო როგორც უნივერსიტეტის მიერ და ასევე დადასტურდა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებთ.

გასაუბრებამ ასევე აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალი იღებს ფინანსურ მხარდაჭერას წიგნების გამოქვეყნებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით. თუმცა, მხოლოდ რამდენიმე ასეთი შემთხვევა იყო ნახსენები, რაც არ არის საკმარისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, მოწვეული ლექტორები არ იღებენ არანაირ ფინანსურ მხარდაჭერას. კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო სტუდენტებისა და ლექტორების ერთობლივ კვლევით აქტივობებში ჩართულობის გაძლიერება, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტებში კვლევითი მოტივაციისა და ინტერესის გაღრმავებისთვის. გაასუბრებამ ასევე გამოავლინა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ინგლისური ენის კურსებისა და ტრენინგების შეთავაზების საჭიროება, მათი ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ და პერსონალის კონფერენციებში, ტრენინგებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობის სტატისტიკა;
- ინფორმაცია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების შესახებ.
- გასუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების	**x**	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე პროგრამას მხარდაჭერილია სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიებით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, საგნობრივი ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზით, საცხოვრებელი კამპუსითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის. მატერიალური რესურსები ორივე პროგრამაზე დიდილად საზიაროა. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია მატერიალური და საინფორმაციო რესურსები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით და ასევე უზრუნველყოფილია ელექტრონულ რესურსებზე წვდომა. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით გადაამოწმა სილაბუსებში მითითებული წიგნები და უსდ-მ თითოეული მათგანის წარმოდგენა შეძლო. ბევრი წიგნი გამოქვეყნებულია 5-7 ზე მეტი წლის წინ (ზოგიერთი მათგანი მოძველებულიც კია). ბიბლიოთეკას ესაჭიროება წიგნების განახლება. სტუდენტები ინფორმირებულები არიან რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ და იციან, როგორ გამოიყენონ ისინი (ეს დადასტურდა ვიზიტის დროს). განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (tbel.ini.ge) სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოიძიონ მატერიალური რესურსები, იურთიერთონ ლექტორებთან და გაეცნონ თავიანთ შეფასებებს. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურა და

უნივერსიტეტის შესასვლელი არ არის ადაპტირებული შშმ სტუდენტებისთვის. ზოგადად, ინფრასტრუქტურა საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტი) და სილაბუსები
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი) და სულაბუსები
- უსდ-ის მატერიალური და საინფორმაციო რესურსები
- თვითშეფასების ანგარიში;
- გაასუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განახლდეს ბიბლიოთეკა უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსების, წიგნების და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების დამატებით.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შენობის ინფრასტრუქტურა.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი	☐	**x**	☐	☐

საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)				
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	☐	x	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებისათვის განსაზღვრულია ბიუჯეტები, რომლებიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ. ორივე პროგრამაზე სწავლა უფასოა. კონკრეტულად, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო 300 კრედიტიანი პროგრამა სრულად ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)

პროგრამა სრულად ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოს მიერ და წლიური შემოსავალი შეადგენს 55,000 ლარს. ბიუჯეტი მოიცავს თანხებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისთვის, ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯებისთვის, პროგრამის სამეცნიერო და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოვლისა და განვითარებისთვის, პროფესიული და სამეცნიერო განვითარების ხარჯებისთვის, ასევე პერსონალის წახალისებისა და სხვა საჭიროებებისთვის. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის სტუდენტური კონფერენციების ან მხარდამჭერი სერვისებისთვის საჭირო ხარჯები. თუმცა, ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს გამოიხატა

საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსებისა და რესურსების გამოყოფის შესახებ მზადყოფნა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)

მასწავლებლის მომზადების პროგრამა სრულად ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ და წლიური შემოსავალი შეადგენს 30,000 ლარს. ბიუჯეტი მოიცავს თანხებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისთვის, ადმინისტრაციული ხარჯებისთვის, პროგრამის სამეცნიერო და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოვლისა და განვითარებისთვის, პროფესიული და აკადემიური განვითარების ხარჯებისთვის და ასევე პერსონალის წახალისებისათვის. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის სტუდენტური კონფერენციების ან მხარდამჭერი სერვისებისთვის საჭირო ხარჯები. თუმცაღა, ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს გამოიხატა საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსებისა და რესურსების გამოყოფის შესახებ მზადყოფნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	☐	X	☐	☐

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	☐	X	☐	☐

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებაში. მისი პასუხისმგებლობები განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შიდა რეგულაციებითა და სამსახურის ოფიციალური დებულებით. სამსახური ფოკუსირებულია რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე: უნივერსიტეტის შიდა ხარისხის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობაზე, სწავლების, სწავლისა და კვლევის გაუმჯობესების მხარდაჭერაზე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების კოორდინირებაზე. გარდა ამისა, სამსახური აორგანიზებს გამოკითხვებსა და ინტერვიუებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს მათ საფუძველზე.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისა (300 ECTS კრედიტი) და მასწავლებლის მომზადების პროგრამის (60 ECTS კრედიტი) შიდა ხარისხის

უზრუნველყოფის ნაწილში, უნივერსიტეტმა დანერგა სტრუქტურირებული მიდგომა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–იმოქმედე (PDCA). პროგრამის შედეგების მონიტორინგის, ცვლილებების განხორციელებისა და მათი ეფექტურობის შეფასების მიზნით სისტემატურად გამოიყენებოდა შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა რუბრიკები, სტუდენტთა რეფლექსია და პერსონალის შეფასება.

თვითშეფასების ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, ახორციელებდა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან აქტივობებს, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზსა და შეფასების რეფლექსიაზე დაფუძნებული მექანიზმების შემუშავებას. თვითშეფასების ანგარიში მომზადდა დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. აღნიშნულმა კოლაბორაციულმა მიდგომამ, რომელიც გაამდიდრა კურსდამთავრებულებისა და აქტიური სტუდენტების ხედვებმა, უზრუნველყო ის, რომ განხორციელებული ცვლილებები ყოფილიყო სათანადო და პრაქტიკული.

თუმცა, შეფასების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე გამოწვევა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ:

1. პერსონალის ნაკლები ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში: გასაუბრებამ აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ იყო სათანადოდ ჩართული პროგრამების კონცეპტუალური რუკების შექმნის პროცესში. მონაწილეობის ასეთი ნაკლებობა კითხვებს აჩენს იმასთან დაკავშირებით, რამდენად თანხვედრაშია ერთმანეთთან პროგრამის სწავლის შედეგები, კურსების შინაარსი და პროგრამის მიზნები.
2. თანამშრომლობის ნაკლებობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან: პროგრამის პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის მოსალოდნელი თანამშრომლობა, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მონაცემების ანალიზის მიმართულებით, არ შეინიშნებოდა. კავშირების მსგავსმა ნაკლებობამ შეიძლება შეამციროს შიდა მონიტორინგის ეფექტურობა და შეასუსტოს ხარისხის გაუმჯობესების პროცესი.
3. ტექნიკური და კონცეპტუალური ხარვეზები: პროგრამის დოკუმენტაციაში გამოვლენილი იყო რიგი ტექნიკური შეცდომებისა და ასევე კონცეპტუალური შეუსაბამობები. ეს ხარვეზები ზიანს აყენებს პროგრამების სიცხადესა და აკადემიურ თანმიმდევრულობას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა

დოკუმენტების სრულმასშტაბიანი გადახედვა ექსპერტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის მიერ.

4. ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაძლიერების საჭიროება: მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე მექანიზმი, როგორიცაა სტუდენტური უკუკავშირის ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები, პროგრამების გუნდებში ისინი თანმიმდევრულად არ გამოიყენება. ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკებში უფრო თანმიმდევრული ჩართულობა და პერსონალის შესაძლებლობების განვითარება უნივერსიტეტს დაეხმარება, ხარისხის ძლიერი კულტურის დანერგვაში.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა განახორციელა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებისა და პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები, განსაკუთრებით პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებასა და ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებთან თანამშრომლობაში პერსონალის ჩართულობის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხების გამოსწორება გადამწყვეტი იქნება იმისათვის, რომ პროგრამები განვითარდეს აკადემიურ სტანდარტების, სტუდენტთა საჭიროებებისა და აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გამოკითხვის ფორმები და შეფასების რუბრიკები
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრული და ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა, პროგრამულ დონეზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაში და განხორციელებაში.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	☐	**x**	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში მკაფიოდ, სრულად და თანადროულად ასახავს 2022 წელს განხორციელებული აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების განხორციელებას როგორც 300 კრედიტიან, ისე 60 კრედიტიან პროგრამაზე. ორივე პროგრამისთვის ჯამში ცხრა რეკომენდაცია გაიცა. უნივერსიტეტმა დროული და სისტემური ნაბიჯები გადადგა თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

300 კრედიტიან პროგრამაზე განხორციელდა კოლეგიალური შეფასება ადგილობრივი ექსპერტების მიერ, რომლის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებიც ძირითადად მიზნად ისახავდა კვლევითი გარემოს გაუმჯობესებას. შედეგად განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, მათ შორის, დაინერგა ახალი არჩევითი კურსი „განათლების ადმინისტრირება“ და ჩატარდა ბაზრის კვლევა, სპეციალურ მასწავლებლებზე მოთხოვნის შეფასების მიზნით. აღნიშნული მიგნებები გამოყენებული იქნა პროგრამაში მიზნობრივი ცვლილებების დასაგეგმად. გატარებული ღონისძიებები ასახავს დაწესებულების შესაძლებლობაზე, მოახდინოს განახლებული დარგობრივი მახასიათებლის ადაპტირება და გააძლიეროს პროგრამის აკადემიური და პროფესიული შესაბამისობა.

60 კრედიტიან პროგრამაზე ადგილობრივა ექპერტმა განახორციელა განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდაზე პროგრამის განვითარებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში. კოლეგიალური შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები შრომის ბაზრის საჭიროებების უკეთ ასახვის მიზნით, რაც უზრუნველყოფს მისი სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობას თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიულ მოთხოვნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ექსპერტების მიერ განხორციელებულმა კოლეგიალურმა შეფასებამ დადებითი შედეგი გამოიღო, სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს საერთაშორისო კოლეგიალური შეფასების პრაქტიკა უცხოელი კოლეგების ჩართვით. ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ასევე ხელს შეუწყობდა საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და გადახედვის პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კოლეგიალური შეფასების ანგარიშები;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს საერთაშორისო კოლეგიალური შეფასების პრაქტიკა, უცხოელი კოლეგების ჩართულობით.

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	**x**	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პროგრამის თანადროულობა და აქტუალურობა, როგორც აკადემიური, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნების თვალსაზრისით. ეს პროცესები ასევე უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ მონიტორინგი ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და მოდერნიზებას, რეალურ მონაცემებსა და პროცესში ჩართული მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესის მეშვეობით რეგულარულად განიხილება სწავლებისა და სწავლის ეფექტურობა, ფასდება სწავლის შედეგები. ამასთან ერთად, იდენტიფიცირდება განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები და ხდება სათანადო რეაგირება.

თვითშეფასების ანგარიშისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროცესის დაგეგმვაში, მონაცემების შეგროვებაში, შედეგების ანალიზსა და შესაბამისი ანგარიშების მომზადებაში. პროცესი ინკლუზიურია და მოიცავს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორიცაა გამოკითხვები, კოლეგიალური შეფასებები, ლექციაზე დასწრება და თვითშეფასების პრაქტიკები. ასეთი ფართო ჩართულობა უზრუნველყოფს იმას, რომ პროცესი იყოს მრავალმხრივი, გამჭვირვალე და სანდო.

პროგრამების ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება მრავალი ინდიკატორი. მათს შორისაა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება და სწავლის შედეგების მიღწევის დონე. მიღებული მიგნებების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს უწყობს პროგრამების გაძლიერებასა და მათ ადაპტირებას ცვალებად საჭიროებებთან.

სწავლების ხარისხი ასევე წარმოადგენს ერთ- ერთ მთავარ ფოკუსს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა რეგულარულად ფასდება სტრუქტურირებული საკლასო დაკვირვებების მეშვეობით, სტანდარტიზებული შაბლონის გამოყენებით. დაკვირვებები შეიძლება განხორციელდეს როგორც კოლეგების მიერ იმავე პროგრამიდან, ისე სხვა პროგრამების ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული მიდგომა არამხოლოდ

ხარისხის უზრუნველყოფას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს კარგი სასწავლო პრაქტიკების გაზიარებას.

სტუდენტები პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენენ. თითოეული სასწავლო კურსის ბოლოს, გროვდება სტუდენტთა უკუკავშირი კითხვარების ან სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. მათი მოსაზრებები გამოიყენება სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირების, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისა და ზოგადად სასწავლო გამოცდილების დახვეწის მიზნით.

თუმცა, ადგილზე ვიზიტისა და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებს დროს გამოიკვეთა, რომ ბევრ მათგანს სისტემატურად არ მიეწოდება კითხვარები ან უნივერსიტეტისთვის უკუკავშირის მიწოდების სხვა ფორმალური შესაძლებლობები. ამ ხარვეზს შეუძლია შეზღუდოს უნივერსიტეტის შესაძლებლობა, მიიღოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები დაინტერესებული მხარეების სრულყოფილი ჩართულობის საფუძველზე. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს უკუკავშირის მიღებისა და გამოკითხვების განხორციელების პრაქტიკები, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის) თანმიმდევრული და არსებითი ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში. ყველა ჯგუფის აქტიური ჩართულობა არამხოლოდ გააძლიერებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, არამედ ასევე ხელს შეუწყობს უფრო რეაგირებადი და ინკლუზიური აკადემიურ გარემოს განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გამოკითხვის ფორმები და შეფასების რუბრიკები
- შეფასების ფორმები და გამოკითხვის შედეგები;
- კოლეგიალური შეფასება;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს უკუკავშირის მიღებისა და გამოკითხვების განხორციელების პრაქტიკები, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული

მხარის (მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის) თანმიმდევრული და არსებითი ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	☐	**x**	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	☐	x	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან